



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EECMD
EASTERN EUROPEAN CENTRE
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

E P R C

Economic Policy Research Center
აღმერთანაპი კონომიკური კვლევების ცენტრი

ჯანმრთელობისა და სოციალური დახვრის სარკონებრი და დახმარებები ზორის აუნისცივადიბებუ



ავტორები: გიორგი ორმოცაძე, თედო ევგენიძე

ტექსტის რედაქტორი: თამარ ხორბალაძე

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის პროექტის „რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) თანამშრომლობით. იგი მიზნად ისახავს ამომრჩეველთა ცოდნის, უნარებისა და ორგანიზების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მიაღწიონ ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური თუ საარჩევნო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უკეთ უპასუხებენ მათ რეალურ საჭიროებებს.

პროექტი საქართველოს ექვს რეგიონში: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთში, სამეგრელოსა და აჭარაში ხორციელდება.

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ტექსტის ავტორი და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალური პოზიცია ან თვალსაზრისი.

სარჩევი

- 04 **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სარკინსაბი და დახმარაბაბი ზორის მუნიციპალიტატი**
- 05 **ზორის მუნიციპალიტატი - ძირითაღი მარკანებღაბი**
- 07 **ზორის მუნიციპალიტატიის ჯანღაღვი და სოციაღური დახმარაბაბი**
- 12 **სოციაღური დახმარაბაბა ზღლოღა არსაბული კვღაღვიბის თანახმად**
- 14 **ჯანღაღვი და სოციაღური დახმარაბაბის ათვიბსაბა - ზღაღოღორღივი მონაღაღაბაბი**
- 14 **დასკვღა**



ჯანმრთელობისა და სოციალური დასვის სერვისები და დახმარება გორის მუნიციპალიტეტში

ხელმისაწვდომი ჯანდაცვის და სოციალური სერვისების უზრუნველყოფა საქართველოში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რაც ასახულია ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯანდაცვის და სოციალური დასვის სისტემა ამჟამად მეტად დეცენტრალიზებულია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების ცალსახად განსაზღვრას ამ მიმართულებებით.

მუნიციპალიტეტები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ასევე ახორციელებენ თემატურ პროგრამებს, რომლებიც აკვებენ სახელმწიფო პროგრამებს. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი აფინანსებს მედიკამენტებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის მისაწოდებლად, ზოგი მუნიციპალიტეტი აფინანსებს სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციას, ასევე არსებობს ამბულატორიული მკურნალობის პროგრამა, რომელიც გულისხმობს სამედიცინო გამოკვლევებისა და სტაციონარული მოვლის თანადაფინანსებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანმრთელობის საყოველთაო დაფარვის პროგრამით და ა.შ. შესაბამისად, სოციალური დასვის მუნიციპალური პროგრამები ითვალისწინებენ მთელ რიგ საჭიროებებს, იქნება ეს სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფებისთვის დახმარების განწევა თუ ჯანდაცვისა და სხვა ტიპის მომსახურებების დაფინანსება.

ცხადია მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროგრამები შეესაბამებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს და რაც არანაკლებ აღსანიშნავია, მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ამ მომსახურებების შესახებ. არსებული პროგრამებისა და მათი შესრულების ანგარიში დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ამ საკითხებთან მიმართებაში.

წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია გორის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარებების გაცემის ვითარება, პროგრამების დაფინან-



სების მდგომარეობა და მათზე საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი. დოკუმენტის შექმნისას გამოყენებულია მეორადი კვლევის მეთოდი, რაც გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს, კერძოდ, გვთავაზობს ღია ფაქტობრივი და სტატისტიკური მონაცემების და ბოლო წლებში განხორციელებული კვლევების ანალიზს.

გორის მუნიციპალიტეტი - ძირითადი მაჩვენებლები

გორის მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის რეგიონს მიეკუთვნება და მის ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს (53%). გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 119000 ადამიანია, რომელთა 61.7% სოფლად ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2009 წლის შემდეგ მუდმივად იკლებს და დღეისთვის დაახლოებით 6%-ით არის შემცირებული.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 125,7 ათასი მოსახლიდან 64.8 ათასი ქალი, ხოლო 60.9 ათასი მამაკაცია. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 48,1 ათასი პირი, სასოფლო დასახლებებში კი - 77,6 ათასი მაცხოვრებელი.

გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 3,38%-ს, ხოლო, შიდა ქართლის რეგიონის 48,8%-ს შეადგენს.

გორის მუნიციპალიტეტში 2021 წელს პენსიის მიმღები იყო დაახლოებით 14000 ადამიანი; სპეციალური სოციალური პაკეტის მიმღები - 2897 ადამიანი. მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მშენებლობის მიმართულებით. დასაქმების სხვა წყაროებს შორისაა მომსახურების სფეროები: ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ვაჭრობა, განათლება და ჯანდაცვა.

გორის მუნიციპალიტეტი მოიცავს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს¹. საკრებულო (მუნიციპალური საკრებულო) არის მისი საკანონმდებლო ორგა-

1 გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები: ბერბუკის, კარალეთის, შავშვების, მეჯვრისხევის, მერეთის, სკრის, ტირძნისის, ტინისხიდის, ვარიანის, ქვახვრელის, შინდისის, ძევერის, ზედდულეთის, ახალუნის, ატენის, ნიჭოზის, მღებრიანის, საყავრის, ბოშურის, ტყვიავის და ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულები.



ნო, რომელიც შედგება 15 მაჟორიტარი და 20 პროპორციული წევრისაგან და ხდება მისი პირდაპირი არჩევა სამოქალაქო არჩევნების პროცესით. მერია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც შედგება 9 სტრუქტურული ერთეულისგან. მას პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული მუნიციპალიტეტის მერი ხელმძღვანელობს.

მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთი ნაწილი ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეგიონს და ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადგილობრივი სპეციფიკა. მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლების და მათი მაცხოვრებლების უსაფრთხოება.

გორის ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები ასე გამიყურება: მშპ-ს რეალური ზრდა: -6.8%; მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 4255.7 აშშ დოლარი; უმუშევრობის დონე: 20.6%; რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები - 709 729².

გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 74 245 მლნ ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების ნახევარზე მეტს (62 455 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადი რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (46 315 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ბიუჯეტის გადასახდელები, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის გამოყენებით, შეადგენს 87 808 მლნ ლარს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება 7 პრიორიტეტის დაფინანსება.

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლისთვის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 3,5 მილიონი ლარი. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში, შესაბამისად, აღნიშნულ მიმართულებაზე 3 მილიონ 670 ათასი ლარია.



გორის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის და სოციალური დახმარება

გორის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდება რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობები და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-3 თავით, რომელიც განსაზღვრავს ორი სახის პასუხისმგებლობას: საკუთარ პასუხისმგებლობას (მუნიციპალიტეტის დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას) და დელეგირებულ პასუხისმგებლობას (პასუხისმგებლობას, რომელიც მიღებულია ცენტრალური და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოდან, შესაბამისი ფინანსური თუ მატერიალური მხარდაჭერით). მუნიციპალური პასუხისმგებლობა ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორებიც არის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება/შენახვა, სკოლამდელი და არაფორმალური განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც საკუთარი, ასევე დელეგირებული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი კოდექსის მე-16 და მე-17 მუხლებში.

სოციალური დახმარებები კი განსაზღვრულია გორის მუნიციპალიტეტის დადგენილებებით, კერძოდ 2022 წლის დახმარებების მოცულობა და სახეობები განწერილია 2021 წლის 12 დეკემბრის საკრებულოს დადგენილებაში „გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების თანახმად, გორში დახმარებები სხვადასხვა საჭიროებებისკენ არის მიმართული, პირველ რიგში კი - ჯანდაცვის საჭიროებებზე.

გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან შემდეგი მიმართულებებით არის შესაძლებელი დახმარების მიღება:

ონკოლოგიური პაციენტების დახმარება

- ონკოლოგიური პაციენტების დახმარება სამედიცინო კვლევა წლის ლიმიტი - 500 ლარი;
- სტაციონარული მკურნალობა წლის ლიმიტი - 500 ლარი;



- ონკოლოგიური ავადმყოფების მედიკამენტებით უზრუნველყოფა წლის ლიმიტი - 500 ლარი;

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 - ის ჩათვლით):

- სამედიცინო კვლევა წლის ლიმიტი - 400 ლარი;
- სტაციონარული მკურნალობა წლის ლიმიტი - 500 ლარი;

უფასო მედიკამენტებით ისარგებლებენ:

- ეპილევსიით დაავადებული პაციენტები;
- პარკინსონიზმით დაავადებული პაციენტები;
- თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებული პირები (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 - ის ჩათვლით);
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ით (ინსულინდამოუკიდებელი) დაავადებული პირები (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 - ის ჩათვლით);
- ბრონქიალური ასთმით დაავადებული ადამიანები (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 - ის ჩათვლით);
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე ადამიანები (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 - ის ჩათვლით);
- თვალის ქრონიკული დაავადება (გლაუკომა) სამედიცინო კოდი H40-დან – H42 ჩათვლით; H42* (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 - ის ჩათვლით) წლის ლიმიტი - 200 ლარი;

სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანების სამედიცინო დახმარება:

- იშვიათი დაავადებების მქონე ადამიანები;
- ცერებრალური დამბლის მქონე ადამიანები;
- დაუნის სინდრომის მატარებელი მოქალაქეები;
- არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე ადამიანები;
- კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80) დაავადების მქონე ადამიანები;



- ჰიდროცეფალიით დაავადებული ადამიანები;
- ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანები წლის ლიმიტი - 500 ლარი;
- აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1) ბავშვების (0-დან 18 წლამდე) სამედიცინო დახმარების წლის ლიმიტი - 2000 ლარი;
- სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება - II და III ხარისხის სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარებისთვის საცურაო-გამაჯანსაღებელი კურსი საცურაო აუზზე; არაერთჯერადი ფულადი დახმარება; (სარეიტინგო ქულა 0-დან 120 000-ის ჩათვლით) წლის ლიმიტი - 300 ლარი;
- ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება - 350 ლარი;

სოციალური პროგრამით გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა საჭიროებები, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარებებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებს:

- სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა: 0-დან 120 000 ჩათვლით) სტუდენტების სწავლის ღირებულების დაფინანსება წელიწადში ერთხელ - 500 ლარი;
- ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს ნაკრების მოქმედი, სოციალურად დაუცველი (ქულა: 0-დან 120 000 ჩათვლით) სპორტსმენების დახმარება წელიწადში ერთხელ - 500 ლარი;
- დედ-მამით ობოლი ბავშვებისა (0-დან 18 წლამდე) და იმ ბავშვების (0-დან 18 წლამდე) დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები - წელიწადში ერთხელ - 1000 ლარი;
- სტიქიითა და ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარება (მხოლოდ საცხოვრებელი ფართის დაზიანების შემთხვევაში) წელიწადში ერთხელ - არაუმეტეს 3000 ლარისა (ზარალის რაოდენობის გათვალისწინებით);



- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 ლარი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შშმ ვეტერანების დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (26 მაისი) - 300 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით - 300 ლარი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დახმარება “ვეტერანის დღესთან” დაკავშირებით (17 ოქტომბერი) – 200 ლარი; წლის განმავლობაში ვეტერანების დახმარება ჯამში შეადგენ 800 ლარს;
- დახმარება მე-3 შვილის შექმნისას (სარეიტინგო ქულა 0 - დან 150 000 - მდე; სამივე შვილი 0-დან 18 წლამდე) 300 ლარი; 4 შვილიანი ოჯახების დახმარება (ოთხივე შვილი 0-დან 18 წლამდე) წელიწადში ერთხელ - 500 ლარი; 5 და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება (ყველა შვილი 0-დან 18 წლამდე) წელიწადში ერთხელ თითო ბავშვზე - 200 ლარი;
- ასი და მეტი წლის ასაკის უხუცესების დახმარება წელიწადში ერთხელ - 1000 ლარი;
- სოციალურად დაუცველი მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარება, რომელთაც ჰყავთ ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი/შვილები (0-დან 18-წლამდე) სარეიტინგო ქულა 0-დან – 70 000 ის ჩათვლით - 500 ლარი; სარეიტინგო ქულა 70 000-დან – 100 000 ის ჩათვლით - 300 ლარი; სარეიტინგო ქულა 100 000-დან – 150 000 ის ჩათვლით - 200 ლარი;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლების (ბენეფიციარების) დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 ლარი;
- მიუსაფარი ადამიანების ქირით უზრუნველყოფა თვეში 150 ლარის ოდენობით;
- მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 ლარი; მნიშ-



ვნელოვნად გამოხატულ (უსინათლო) შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-ის ჩათვლით) წელიწადში ერთხელ - 250 ლარი;

- დიალიზზე მყოფი ადამიანების დახმარება წელიწადში ერთხელ - 500 ლარი;
- სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) ადამიანების დახმარება წელიწადში ერთხელ - 250 ლარი;
- 2022 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 ლარი;
- 2022 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 ლარი;
- ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, გლუტენის დაავადებით (ცელიაკია ICD K90.0), ფენილკეტონურიით, ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება წელიწადში ერთხელ - 500 ლარი;
- რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით თითოეულ ბავშვზე თვეში - 80 ლარი;

გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული თანადაფინანსების პროგრამებით სარგებლობისას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების სოციალურად დაუცველი წევრების წილის დაფინანსება.

მიცვალბულთა სარიტუალო მომსახურება მოსახლეობის ხუთ კატეგორიას გაენევა.

გორის მერია უზრუნველყოფს დევნილების, ომის ვეტერანების, უპატრონო მიცვალბულბებისა და იმ ოჯახების წევრების სარიტუალო ხარჯების დაფინანსებას, რომლებიც სარგებლობენ მერიის ქირავნობის პროგრამით და უწყების მიერ უზრუნველყოფილნი არიან დროებითი საცხოვრებელი ფართებით.



400 ლარი 2021 წელს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის შემთხვევაში, იმ მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ დიალოზის პროცედურას, დაუფინანსდებათ ტრანსპორტირების ხარჯები“.

საინტერესო დეტალია, რომ მაგალითად სპორტსმენების დახმარება, რომელიც ჩამონათვალშია, პირველად და ჯერჯერობით გამონაკლისის სახით გორის მუნიციპალიტეტში იყო შემოღებული. როგორც კვლევები აჩვენებს³ გარკვეული მუნიციპალიტეტები გამოირჩევიან დახმარებების განსაკუთრებული ტიპების გაცემის კუთხით. ეს დახმარებები მხოლოდ აღნიშნული მუნიციპალიტეტებისთვის არის დამახასიათებელი და სხვაგან არ გვხვდება. ეს შეიძლება კონკრეტული რეგიონის ტრადიციით იყოს გამოწვეული, ან საჭიროებიდან გამომდინარეობდეს.

სოციალურ დახმარებაზე წვდომა არსებული კვლევის თანახმად

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ზოგადად საქართველოს რეგიონებში საკმაოდ დაბალია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების, სერვისების შესახებ ცოდნა⁴; ამას გარდა, პრობლემა ადგილებზე სერვისის ხარისხი (განსაკუთრებით ჯანდაცვის მომსახურებებში) და ნდობა ადგილობრივი სამედიცინო ინსტიტუციების მიმართ.

კონკრეტულად გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური და სოციალური სერვისების კვლევის თანახმად კი, რომელიც კოვიდ-პანდემიამდეა ჩატარებული, ადგილობრივ მოსახლეობას არათანაბარი წვდომა აქვს მუნიციპალურ სერვისებზე. თუ ქალაქ გორის მოსახლეობისთვის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველა სერვისი, სოფლის ტიპის დასახლებებში და დევნილებით კომპაქტურად დასახლებული ადგილების ნაწილში ჯერ კიდევ პრობლემაა წყლით მომარაგება, კანალიზაციის სისტემები და ა.შ.

მუნიციპალურ დონეზე საკმაოდ გართულებულია სოფლების საჭიროებების სრულად გააზრება და შესაბამის ბიუჯეტში ასახვა; ისევე, როგორც ზოგადად სხვა მუნიციპალიტეტებში, ბიუჯეტის ფორმირება ძირითადად პირადი გამოცდილების საფუძველზე ხდება და არა სიღრმისეული კვლევების.

3 UNISEF, სოციალური დახმარებების აღწერა და რეკომენდაციები 2016წ.

4 EWMl's Research Findings for the Strategic Support and Policy Grants (SSPG) Program on Healthcare, Education, and Social Protection



სოციალური სერვისებისა და დახმარებების მიღებასთან დაკავშირებით კოვიდამდე, კერძოდ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად⁵, გორის მუნიციპალიტეტი საკმაოდ ღია იყო სოციალური დახმარებების მიწოდებისას. იმ მოსახლეობის 38,9%, რომელმაც მუნიციპალიტეტს მიმართა დახმარებისთვის, თვლიდა, რომ ჯანდაცვასთან დაკავშირებული დახმარებების მიღების პროცედურები საკმაოდ მარტივი იყო, 38,7% კი ამას მეტ-ნაკლებად რთულად მიიჩნევდა.

ამასთან ერთად, იმ მოსახლეობის 53,3%-მა, ვინც მიმართა მუნიციპალიტეტს სხვადასხვა დახმარებისთვის, განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტისგან უარი ან თანხმობა დადგინდა ვადაში - 10 სამუშაო დღეში მიიღეს;

მუნიციპალური სერვისების გამოყენების მაჩვენებელი ზოგადად 2019 წლისთვის საკმაოდ დაბალი იყო. 30-დან 11 სერვისის საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული ნახევარზე მეტი მოსახლეობისგან. ყველაზე ნაკლებად გამოყენებული სერვისი იყო მშენებლობის ნებართვა და მუზეუმებში ვიზიტის შესაძლებლობა; საკმაოდ დაბალი იყო მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე - მოსახლეობის 49%-მა საერთოდ არ იცოდა მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ასევე, დაბალია მოსახლეობის ცოდნა თვითმმართველობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ. კვლევის ბენეფიციართა 45%-მა არაფერი იცოდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

სხვაობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინფორმირებულობას შორის დაახლოებით 11,5%-ია.

გამოკითხულთა 42%-ს ასევე არ ჯერა რომ ადგილობრივი თვითმმართველობა გამოხატავს საზოგადოების ინტერესს.

გამოკითხულთა 40,7%-მა თქვა რომ მუნიციპალიტეტის სტაფი დაკომპლექტებულია ნაცნობობით, მხოლოდ 23,3% საუბრობს ზოგადად კორუფციანობაზე.

მაღალია ნიჰილიზმის მაჩვენებელი ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მაღალია კომუნიკაციაში ხელისუფლებასთან; დევნილები უფრო მეტად სარგებლობენ



5 Local Services in Gori Municipality Practice, Attitudes and Perceptions; Gori Information Centre (2019).

ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სერვისებით და ნაკლებად - ადგილობრივი თვითმმართველობის.

ჯანდაცვის და სოციალური დახმარების ათვისება - ფაქტობრივი მონაცემები

გორის მერიის ანგარიშის თანახმად, გასულ წელს სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები და პროგრამები დაფინანსდა 1 832.8 ათასი ლარით, გეგმა ითვალისწინებდა 2 176.5 ათას ლარს, დაფინანსებულია 84.2%-ით. აქედან ჯანდაცვის სერვისები - გამოყოფილი თანხა - 1 350 000 ლარი, ისარგებლა 3 698 - მა ბენეფიციარმა; სოციალური სერვისები - გამოყოფილი თანხა 1 063 500 ლარი, ისარგებლა 1 484 - მა ბენეფიციარმა; სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა - ბიუჯეტი - 270 000 ლარი - ისარგებლა 10-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ და თანადაფინანსება მიიღო 15-მა პროექტმა.

გორის მერიამ ითანამშრომლა სოციალური პროგრამების ფარგლებში შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“, საზოგადოება „ბილიკი“, სკრის სათემო ასოციაცია „ბეთლემი“, საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“, „საქართველოს სამართლებლო კავშირი“, „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“, ასოციაცია „თანხმობა“, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების დასაქმებისა და ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი“, „შენი თბილი კერა“ - მოხუცებულთა თავშესაფარი, „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“.

უფრო დეტალური ანგარიშგება ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯვის შესრულებასთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტს 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის აგვისტომდე აქვს გაკეთებული.

დასკვნა

მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეს მოსახლეობის 19% ოფიციალურად არის სიღარიბის ზღვარს მიღმა, ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ათვისება რეგიონებში, მათ შორის გორის მუნიციპალიტეტში სრულფასოვნად ვერ ხერხდება. ამაზე



მონმობს 80%-იანი შესრულების შესახებ ანგარიშებიც და ასევე ბოლო პერიოდამდე ჩატარებული კვლევები. მაგალითად, პანდემიამდე, 2019 წლის მონაცემებით, გორის მუნიციპალიტეტში 30-დან 11 სერვისის საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული. თავად სერვისების სიმარტივესთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მოსაზრებები არ არის - თითქმის თანაბარია იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც თვლის რომ სერვისის მოპოვება გორის მუნიციპალიტეტიდან რთულია და ვისი აზრითაც - მარტივია. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი, კვლევების თანახმად, დროულად სცემს პასუხს (შინაარსის მიუხედავად) განმცხადებლებს. თუმცა, მნიშვნელოვანია დახმარების პროგრამების და ამ პროგრამების მიღების პროცედურების შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირება. ასევე კვლევები აჩვენებს, რომ ადგილებზე პრობლემაა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების არა იმდენად დაფინანსება, რამდენადაც ამ სერვისის ხარისხი, რაც სოციალური და ჯანდაცვის სისტემის მეტი დეცენტრალიზაციისა და განვითარების საკითხია.



სამოქალაქო სივრცე - მისი როლი და
მნიშვნელობა საქართველოში
პოლიტიკის დოკუმენტი 2022



აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის
შარაშიძის 7, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 291 56 50/51
ელ.ფოსტა: contact@eecmd.org